



სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი იწყებს ახალი პროექტის „საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლება“ განხორციელებას. პროექტის მიზანია სკოლაში აკადემიური და საზოგადოებრივი მიზნების მქონე სასწავლო პროექტების განხორციელება.

პროექტის ფარგლებში შეირჩევიან მასწავლებლები თბილისიდან, კახეთიდან, ქვემო ქართლიდან და შიდა ქართლიდან. სულ პროექტში მონაწილეობას მიიღებს 40 მასწავლებელი. შერჩეული მასწავლებლები მონაწილეობას მიიღებენ ოთხდღიან ტრენინგში, სადაც გაეცნობიან საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისთვის ახალ მეთოდს - საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლებას, დისტანციური სწავლების საფუძვლებსა და პროექტზე დაფუძნებული სწავლებას.

სკოლაში ასეთი პროექტების განხორციელება შესაძლებელს გახდის მასწავლებლების გუნდმა გაიაზროს სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო და სოციალური მიზნების ერთიანობა, ასევე ხელს შეუწყობს საგანთაშორის ინტეგრაციას. პროექტის წარმატებით განხორციელებითვის მნიშვნელოვანია ჩართული მასწავლებლების მოტივაცია და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა. საზოგადოებრივი საქმიანობით სწავლების მოდელი შესაძლებელს ხდის პროექტები გახადოს სასწავლო პროცესის ნაწილად, კურიკულუმის გადატვირთვის გარეშე.

პროექტის პარტნიორი მასწავლებლებს საშუალება ექნებათ პროექტში მონაწილეობის შედეგად შეიძინონ სამუშაო შეხვედრების ჩატარების გამოცდილება საკუთარ სკოლებში, ასევე შეისწავლიან მეთოდური მასალების მომზადებას. მასალის მომზადების პროცესში მათ კონსულტაციას გაუწევენ თამარ მოსიაშვილი და დავით ლიპარტელიანი. საუკეთესო მეთოდური მასალები გამოქვეყნდება მედიაწიგნიერების ვებ-პორტალზე (www.medialiteracy.ge).

დაფინანსებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული გრანტით საგრანტო კონკურსის „სასწავლო და სოციალური პროექტების საშუალებით სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობის ხელშეწყობა აღმოსავლეთ საქართველოში“ ფარგლებში.